16/11/2021

მსოფლიო პატრიარქი ათენს ეწვევა

მიმდინარე წლის 20 ნოემბერს, მისი ყოვლადუწმიდესობა მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი ოფიციალური ვიზიტით საბერძნეთის დედაქალაქს ეწვევა, სადაც შეხვედრას გამართავს ათენისა და სრულიად საბერძნეთის უნეტარეს მთავარეპისკოპოს იერონიმესთან და წმინდა სინოდის წევრებთან.

ვიზიტი საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მოწვევით დაიგეგმა, რომელიც მისი ყოვლადუწმიდესობის ბართლომეოსის პატრიარქობის 30 წლის იუბილის აღნიშვნას უკავშირდება. 21 ნოემბერს ათენის საკათედრო ტაძარში აღესრულება საზეიმო საღმრთო ლიტურგია, რომელსაც მისი ყოვლადუწმიდესობა მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი და მისი უნეტარესობა ათენისა და სრულიად საბერძნეთის არქიეპისკოპოსი იერონიმე წმინდა სინოდის წევრებთან ერთად წარუძღვებიან.

wenews.ge